სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი

მუხლი 1. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების ჩამოყალიბება.
2. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი.
3. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით და დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).
4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა და რეგისტრაცია

1. სამაგისტრო ნაშრომის დარეგისტრირების უფლება წარმოეშობა სტუდენტს, რომელსაც სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში დაგროვილი აქვს მინიმუმ 80 კრედიტი.
2. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემის შერჩევა წარმოებს ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
3. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია უნდა დასრულდეს შესაბამისი სემეტრის დაწყებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დამატებითი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში - სემესტრის დაწყებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
4. სამაგისტრო თემის სათაურის რეგისტრაციის მიზნით მაგისტრანტი თემის სათაურსა და მის სავარაუდო სტრუქტურს წარუდგენს ფაკულტეტის შესაბამის მიმართულებას, რომელიც ადგენს სამაგისტრო თემის აქტუალობას, მისი დამუშავების მეცნიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას, საკვლევი საკითხის ამოწურვადობისა და სამეცნიერო ნაშრომის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნებისადმი შესაბამისობას.
5. მიმართულების სხდომა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას:
ა. წარმოდგენილი თემის სახელწოდების დარეგისტრირებასა და ნაშრომის შესრულებაზე თანხმობის ან უარის შესახებ;
ბ. სხდომაზე გამოვლენილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით, მაგისტრანტისათვის დამატებითი 3 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.
6. თუ დამატებით ვადაში მაგისტრანტი ვერ უზრუნველყოფს თემის სათანადო სახელწოდებისა და სტრუქტურის წარმოდგენას, მიმართულება იღებს გადაწყვეტილებას თემის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რის საფუძველზეც სტუდენტი კარგავს აღნიშნულ სემესტრში თემის დამუშავების უფლებას.
7. სამაგისტრო თემა, რომლებიც დასაშვებად ცნო მიმართულებამ, ექვემდებარება სათანადო წესით რეგისტრაციას.

მუხლი 3. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
2. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ეხმარებს მაგისტრანტს სამაგისტრო თემის შერჩევაში, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ფორმირებაში, ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებასა და მოძიებაში.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომი

1. სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი სამეცნიეო კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები.
2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა (15 სთ.) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში (735 სთ.).
3. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განსაზღვრულია წინამდებარე წესის დანართის შესაბამისად, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის მიმართ მოქმედი სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნები - ფაკულტეტის მიერ დადგენილი აკადემიური წერის სტანდარტებით.
4. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იქნეს შესრულებული ქართულ ენაზე. წერილობითი განცხადებით სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში, იურიდიული ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, მაგისტრანტს ნება დართოს წარმოადგინოს იგი სხვა ევროპულ ენაზე.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. შესაბამისი სემეტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა სტუდენტი, ფაკულტეტის მიერ ელექტრონულ პროგრამაში (მაგ.: e-Learning) საგანგებოდ გახსნილ ველში ტვირთავს ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად. პლაგიატის შემოწმების ანგარიში გადაეგზავნება ნაშრომის ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს ნაშრომს და პლაგიატის არსებობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აცნობებს ფაკულტეტს.
2. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი ნიშნავს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო კომისიას და ნიშნავს პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღს.
3. აკადემიური კეთილსინდისიერების საგანგებო კომისია შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის არანაკლებ 3 და არაუმეტეს 9 წევრისგან.
4. სტუდენტს წერილობითი ფორმით ეგზავნება ინფორმაცია განხილვის თარიღის შესახებ. სტუდენტი ესწრება მის მიმართ განხილვას, სადაც სარგებლობს სიტყვის უფლებით. სტუნდენტს აქვს უფლება მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
5. კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობითი სახით ეცნობება ფაკულტეტს და სტუდენტს.
6. სამაგისტრო ნაშრომის ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), პლაგიატზე შემოწმების შემდეგ, მაგისტრანტი იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარუდგენს, სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა).
7. სამაგისტრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.
8. სამაგისტრო ნაშრომთან ერთად მაგისტრანტმა ფაკულტეტს უნდა წარუდგინოს:

ა. განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე სამაგისტრო ნაშრომის განსახილველად მიღების შესახებ;
ბ.მაგისტრანტის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა სამაგისტო ნაშრომის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება:
ბ.ა. მაგისტრანტის სახელი, გვარი;
ბ.ბ.სამაგისტრო ნაშრომის სათაური;
ბ.გ. თემის აქტუალობა;

ბ.დ.განხორციელებული კვლევის ხარისხი და მნიშვნელობა;
ბ.ე. ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები/ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება;
ბ.ვ. ინფორმაცია პლაგიატის პროგრამის წარმატებით გავლის შედეგების შესახებ;
ბ.ზ. რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.
9. სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს მაგისტრანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული. მაგისტრანტის ახსნა-განმარტება ასევე უნდა შეიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სათაურის ინგლისურენოვან თარგმანს.
10. მაგისტრანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდგომი სემესტრიდან.

მუხლი 6. დასკვნითი გამოცდა/სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარმოებს დასკვნით გამოცდაზე საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევის შედეგებს.
2. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების სპეციალური კომისიის სხდომა წინაშე.
3. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება მიმართულების სამი წევრი მაინც.
4. დასკვნით გამოცდაზე სპეციალური კომისიის წევრები/გამომცდელები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ საქმიანობაში.
5. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან არჩეული თავმჯდომარე. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.
6. დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. ამასთან, გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.
7. დასკვნითი გამოცდაზე სპეციალური კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მაგისტრანტის ვინაობას და სამაგისტრო ნაშრომის თემას.
8. დასკვნითი გამოცდის/დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, კამათს და სპეციალური კომისიის დასკვანას.
9. მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს მაგისტრანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით მაგისტრანტი კომისიას მოახსენებს თავისი სამაგისტრო ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სიახლეს.
10. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისას მაგისტრანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
11. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება კამათი, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. მაგისტრანტი უპასუხებს სპეციალური კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში.
12. კამათის შემდეგ სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
2. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.
3. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.
4. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები (შეფასების მეთოდები):
ა. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება;
ბ. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასება;
გ. დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება.

5. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე ფასდება 50 ქულით, პრეზენტაცია - 30 ქულით, ხოლო დისკუსიაში მონაწილეობა - 20 ქულით.
6. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

0-50 ქულა	სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები
0-5	საკვლევი თემის სიახლე და აქტუალობა
0-5	კვლევის მიზანი
0-5	შერჩეული მასალა. პირველწყაროები, ლიტერატურა
0-5	კვლევის მეთოდოლოგია
0-5	სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა
0-5	ჩატარებული კვლევის ხარისხი
0-5	საკუთარი იდეები და პოზიციები
0-5	დასკვნები და შედეგები
0-5	აკადემიური წერის კულტურა
0-5	ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება

7. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

0-30 ქულა	სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები
0-5	საპრზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე
0-5	აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი
0-5	სიახლის დასაბუთების უნარი
0-5	კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი
0-5	საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი
0-5	მიწოდების ტექნიკა

8. დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმებია:

0-20 ქულა	დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები
0-10	სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ დისკუსიაში მონაწილეობა
0-10	საკუთარი არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის თანმიმდევრულობა

9. ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი სპეციალური კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
10. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი და-დებითი შეფასებით.
11. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა. (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ბ. (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ. (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ. (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე. (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

12. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
ბ. (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
13. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.
14. სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძვლებია ასევე:
ა. საჯარო დაცვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
ბ. საჯარო დაცვაზე გამოცხადების შემდგომ უარის თქმა მის დაცვაზე;
გ. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენა;
დ. საჯარო დაცვის ჩაშლის მცდელობა ან მისი ჩატარების განაწესის დარღვევა;
ე. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით.
15. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეებია:
ა. პლაგიატი, რაც გულისხმობს გამიზნულად თუ უნებლიედ სხვისი ნაშრომის (იდეების, ცნებების, ფორმულების, გრაფიკების, ცხრილების, გამოსახულებების, დიზაინის და სხვა) საკუთრად წარმოჩენასა და გავრცელებას ავტორის/წყაროს შესაბამისად მითითების (საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის) გარეშე;
ბ. თვითპლაგიატი, რაც გულისხმობს სხვა ნაშრომში გამოთქმული საკუთარი მოსაზრებების გამეორებას ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე, ან საკუთარი ნაშრომის ორჯერ ან მეტჯერ წარდგენას სხვადასხვა დავალების ფარგლებში;
გ. კომპილაცია, რაც გულისხმობს საკუთარი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის გარეშე საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების/ნაშრომების გამოყენებას და დაჯგუფებას;
დ. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის დადებითი შეფასების შედეგები

1. სამაგისტრო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რომელსაც დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს უნივერსიტეტი, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა უნივერსიტეტის მიერ. დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება უსდ-ში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დიპლომს ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.

მუხლი 9. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა

1. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემის შემდეგ თუ გამოვლინდა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი ან ცნობილი გახდა გამომცდელზე დაუშვებელი ხერხებით შეფასების მიღების მცდელობის ფაქტი, ეს სამაგისტრო გამოცდის მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველია.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

1. სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. სამაგისტრო ნაშრომი უნდა ასახავდეს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.
2. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
3. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.
4. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ.
5. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე Sylfaen-ის შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.
6. სამაგისტრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). სამაგისტრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით.
7. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.
8. სამაგისტრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
9. სამაგისტრო ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს.
10. სამაგისტრო ნაშრომში სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.
11. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:

ა. ტიტულის გვერდი;
ბ. ხელმოწერების გვერდი;
გ. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
დ. შინაარსი;
ე. ძირითადი ტექსტი:
ე.ა. შესავალი;
ე.ბ. ლიტერატურის მიმოხილვა;
ე.გ. შედეგები და მათი განსჯა;
ე.დ. დასკვნა.
ვ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

12. სამაგისტრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია: ცხრილების ნუსხა; გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა; ანბანური საძიებელი; დანართები.
13. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, მაგისტრანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „თბილისი,საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული სამაგისტრო ნაშრომის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.
14. სამაგისტრო ნაშრომის ხელმოწერის გვერდი (გვერდი (ii)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „იურიდიული ფაკულტეტი“, „ვადასტურებ, რომ გავეცანი [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით:

[დასახელება] და ვაძლევ რეკომენდაციას ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით.

15. სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 250-დან 400 სიტყვამდე. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად.

16. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარს). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

17. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკნას.

18. სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას ნაშრომში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოკლედ და ლაკონურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სამაგისტრო ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია დარგის ვიწრო სპეციალისტებისათვის და არა მკითხველთა ფართო მასისათვის. შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

19. ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემული უნდა იქნა შემდეგი კითხვები:

ა. საიდან მომდინარეობს სამაგისტრო ნაშრომში დასმული პრობლემა?

ბ. რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ?

გ. რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლების გადაჭრისათვის?

დ. რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში?

20. ლიტერატურის მიმოხილვაში ძირითადად აქცენტი უნდა გაკეთდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ მასალაზე (თუ სამაგისტრო ნაშრომი არ ეძღვნება ისტორიული ხასიათის პრობლემას). ლიტერატურის მიმიხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 3%-ს.

21. შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

22. სამაგისტრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონურად.

23. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ლიტერატურული წყაროს მითითებისას დაცული უნდა იქნას შემდეგი სტილი:

ა. სტატია: გვარი ინიციალი. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი დასასრული (მაგ.: 1. მაჭავარიანი ს., უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის პრობლემა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ჟ. მართლმსაჯულება, 2017, 2, გვ. 186-213.).

ბ. წიგნი:

ბ.ა. ცალკეული გვერდების მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ. დასაწისი–დასასრული (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 68-86.).

ბ.ბ. მთლიანი წიგნის მითითებისას: გვარი ინიციალი. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვერდების რაოდენობა გვ. (მაგ.: 1. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბილისი: მერანი - 3, 2000, გვ. 379).

ბ.გ. ინფორმაციის გლობალური ქსელი: ვებ–გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

24. ლიტერატურის ნუსხაში გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად, სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს – 1, აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი, ხოლო შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

25. თუ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

26. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილ-მდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ

უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

27. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

28. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძ-ლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონ-ტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

29. თუ სამაგისტრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. და-ნართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმე-რაცია იწყება თავიდან.

30. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სამაგისტრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.

31. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.